საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-993

30/06/2021

ქ. თბილისი

„შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. დმანისის მუნიციპალიტეტში, შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე-3 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (№35; 18.05.2018), რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 25 მაისის №2-385 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება შპს „RMG Gold“-ს სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შპს „RMG Gold“-მა საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „RMG Gold“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „RMG Gold“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი